პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და ,,ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად,

საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას განკარგულების შესარულებასთან დაკავშირებით გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4-ში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი - ლელა მდინარაძე